ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N6

05.04.2016

**ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:**

1.სტუდენტთა და პროფესორთა მიერ ფორუმზე წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომების დამტკიცება

2. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გამარჯვებული საგრანტო პროექტის დამტკიცება

3.განათლების მეცნიერებების მაგისტრის ნინო გაგელიძისთვის კვალიფიკაციის გაუქმება;

4. სამაგისტრო პროგრამის - ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - მაგისტრანტის სალომე კვარაცხელიას წარდგინება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

**ფაკულტეტის საბჭოს წევრები:**

*ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**პროფესორები:**

ლალი სურმანიძე, ქეთევან ჭკუასელი, ია კუტალაძე

**ასოცირებული პროფესორები :**

მანანა მელიქიშვილი, თამარ აბაშიძე, ანასტასია ქიტიაშვილი;

**ასისტენტ პროფესორები:** თეონა ლოდია, ხათუნა მარწყვიშვილი, ირინე ჟვანია, მარინე კაკიაშვილი - ჯაღიაშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლია ჩხიკვიშვილი, ირინე გედევანიშვილი, შორენა მამუკაძე.

*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

**ასოცირებული პროფესორი:**

იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

**ასისტენტ პროფესორი:**

ზაქარია ქიტიაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 20 წევრი.

**სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:**

სალომე თოფურია, ნიკა გოძიაშვილი.

განიხილეს:

1.სტუდენტთა და პროფესორთა მიერ ფორუმზე წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომების დამტკიცება

ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ბ-ნმა დიმიტრი ჩუბინიძემ საბჭოს განუცხადა, რომ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობისათვის გამოცხადებულ მოხსენებათა კონკურსზე წარმოდგენილი იყო 6 განაცხადი. მოხსენებათა შერჩევისათვის შეიქმნა შესაბამისი კომისიები, რომელთაც განიხილეს განაცხადები და გამოავლინეს გამარჯვებულები.

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობისათვის გამოცხადებულ მოხსენებათა კონკურსზე გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებულები:

1. „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და რამდენიმე შტრიხი თანამედროვე ქართველთა პორტრეტისათვის" – ლალი სურმანიძე, პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
2. ,,უარყოფის მოლოდინის განცდა და მარტოობა" – ნათია სორდია, მაგისტრატურა, მეორე კურსი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
3. ,,აბედნიერებს თუ არა ქამინგ აუთი? კავშირი ლგბ იდენტობის ფორმირებას, გამჟღავნებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (საქართველოს მაგალითზე)" - თეკლა ნემანიშვილი და ლია ჯანაშია; ბაკალავრიატი, მეოთხე კურსი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

საბჭომ უყარა კენჭი წარმოდგენილ გამარჯვებულ მოხსენებებს და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

2. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გამარჯვებული საგრანტო პროექტის დამტკიცება

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი გრანტების კონკურსში წარმოდგენილი იყო ერთი საპროექტო წინადადება. პროექტის შეფასების მიზნით ინსტიტუტის ბაზაზე, შეიქმნა კომისია, რომელმაც განიხილა საპროექტო წინადადება და შეაფასა 96 ქულით.

პროექტში ჩართულია 2 აკადემიური პერსონალი და 4 სტუდენტი. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 12 5000 ლარს.

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი:

იამზე კუტალაძე, პროფესორი – „პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში“.
საბჭომ უყარა კენჭი წარმოდგენილ გამარჯვებულ პროექტს და ერთხმად დაამტკიცა

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

**3. განათლების მეცნიერებების მაგისტრის ნინო გაგელიძისთვის კვალიფიკაციის ბათილად ცნობა;**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ ნინო გაგელიძეს ბრძ.369/01-04, 28.03.2016 მინიჭებული აქვს განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სწავლების ძირითადი დარგი განათლების მეცნიერებები. აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ბ1 დონეზე ჩაბარება იმ პირობით, რომ სტუდენტი სამაგისტრო კურსის დამთავრებისას ვალდებულია დაადასტუროს ენის ბ2 დონეზე ცოდნა ან შესაბამისი სერტიფიკატით, ან უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ბარიერის გადალახვით. დოკუმენტების რევიზიისას სპეციალისტის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ ნინო გაგელიძეს არ ჰქონდა დადასტურებული სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას ენის ცოდნის დონე. შესაბამისად, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, ნინო გაგელიძეს სწავლების ძირითად დარგში - განათლების მეცნიერებები - მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ბრძ.369/01-04, 28.03.2016) ეცნოს ბათილად და ინგლისური ენის გამოცდის B2 დონეზე ჩაბარების შემდგომ ისევ მოხდეს ნინო გაგელიძის წარდგინება კვალიფიკაციის მისანიჭებლად.
საბჭომ კენჭი უყარა პროფესორ თამარ გაგოშიძის მიერ წარმოდგენილ წინადადებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე- 20
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

**4. სამაგისტრო პროგრამის - ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - მაგისტრანტის სალომე კვარაცხელიას წარდგინება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ მაგისტრანტ სალომე კვარაცხელიას ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და შესაბამისი დიპლომის გაცემის შესახებ ცალკე წარდგინების მიზეზი გახდა სტუდენტის მიერ გავლილი საგნებისა და პროგრამის მიმართების დადგენა, რომელზეც ხარისხის აღიარების კომისიის მიერ გაკეთდა დადებითი დასკვნა. შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს მოცემული წარდგინება.
საბჭომ კენჭი უყარა პროფესორ თამარ გაგოშიძის მიერ წარმოდგენილ წინადადებას და ერთხმად დაამტკიცა.

მომხრე- 20
წინააღმდეგი -0
თავი შეიკავა -0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობისათვის გამოცხადებულ მოხსენებათა კონკურსზე წარმოდგენილი ნაშრომები:
„ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და რამდენიმე შტრიხი თანამედროვე ქართველთა პორტრეტისათვის" – ლალი სურმანიძე, პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
,,უარყოფის მოლოდინის განცდა და მარტოობა" – ნათია სორდია, მაგისტრატურა, მეორე კურსი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი
,,აბედნიერებს თუ არა ქამინგ აუთი? კავშირი ლგბ იდენტობის ფორმირებას, გამჟღავნებასა და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის (საქართველოს მაგალითზე)" - თეკლა ნემანიშვილი და ლია ჯანაშია; ბაკალავრიატი, მეოთხე კურსი ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

2.დამტკიცდეს თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, 2016 წლის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი: „პიროვნული და ორგანიზაციული ფაქტორების გავლენა ემოციური შრომის შედეგებზე მომსახურების სფეროში"- ხელმძღვანელი-იამზე კუტალაძე, პროფესორი.

3. ბათილად იქნეს ცნობილი განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ ნინო გაგელიძისათვის სწავლების ძირითად დარგში განათლების მეცნიერებები განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ბრძანება - ბრძ.369/01-04, 28.03.2016. სტუდენტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარების შემდგომ თავიდან მოხდეს წარდგინება კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

4. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის - ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - მაგისტრანტის სალომე კვარაცხელიას წარდგინება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / /

5. 04. 2016